პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 16 ივნისი, 1943 წ. № 129 (6754). ფასი 20 კაპ.

ბავშვებისათვის ზრუნვა საყოველთაო-სახალხო საქმეა

ბავშვთა აღზრდას, სწავლებასა და მატერიალურ უზრუნველყოფას ჩვენი პარტია მუდამ ისე უყურებდა, როგორც უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანებს. ბავშვები ჩვენი სამშობლოს იმედი და მომავალია. ყველაფერი იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ისინი იზრდებოდნენ ჯანსაღ, მამაც, ენერგიულ, კულტურულ ადამიანებად, რომელთაც ეყვარებათ თავიანთი ქვეყანა, თავიანთი ხალხი. მოზარდი თაობისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას მუდამ გვასწავლიან ბოლშევიკური პარტია, ამხანაგი სტალინი.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის დღეებში, როდესაც ათასობით საბჭოთა ბავშვი უდედმამოდ ან უსახლკაროდ დარჩა, მათი საჭიროებანი ფრონტის საჭიროებებთან უნდა იყოს გათანაბრებული. გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ რაიონებში საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები თავიანთ აღდგენითს მუშაობას, უწინარეს ყოვლისა, ბავშვებისათვის ზრუნვით იწყებენ: სსნიან სკოლებს, ხაბავშვო სასადილოებს, საბავშვო სახლებს, განმანაწილებლებსა და საავადმყოფოებს.

საბჭოთა სახელმწიფო, ჩვენი ხალხი მთელი სულითა და გულით, მათს განკარგულებაში არსებული ყოველი საშუალებით უმსუბუქებენ ბავშვებს ომით წარმოშობილ გაჭირვებასა და სიძნელეს. ჩვენი ქვეყნის ღრმა ზურგი ეშელონობით ჰგზავნის წითელი არმიის მიერ განთავისუფლებულ რაიონებში ბავშვთა თბილ ნივთებს, კვების პროდუქტებს, სახელმძღვანელოებს.

წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მებრძოლნი და მეთაურები, მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურენი თავიანთ პირად დანაზოგს ჰგზავნიან დაობლებული ბავშვების შესანახად, აღსაზრდელად იყვანენ მათ, დაღუპული მშობლების მაგივრობას უწევენ. მაგალითად, რიაზანის ოლქის კოლმეურნეობები სმოლენსკინის განთავისუფლებული რაიონებიდან ჩასულ 300 ბავშვს ზრდიან. ცოტა ინტერნატი და საბავშვო სახლი როდია მოწყობილი საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების მიერ გაღებული სახსრებით. მრავალ საბავშვო ჯანმრთელობის კერათაგან, რომლებიც ომის განმავლობაში გაიხსნა, 10 აგებულია და მთლიანად არსებობს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მიერ შეგროვებული თანხებით.

ბავშვებს პირველ რიგში ამარაგებენ კვების პროდუქტებითა და სამრეწველო საქონლით. მათ დაეთმოთ ქალაქთა საუკეთესო პარკები და სახლები, მათთვის მოწყობილია სასადილოები, საბავშვო ბაღები, ბაგები, მოედნები, პიონერთა სახლები, ტექნიკური სადგურები, სკოლის სახელოსნოები და ა. შ.

ფრონტელი მშობლები მრავალ წერილში გულითად მადლობას აცხადებენ იმ სიყვარულისა და ალერსისათვის, რომლითაც ეპყრობიან მათს ბავშვებს.

მაგრამ ბევრ ადგილობრივ პარტიულსა და საბჭოთა ორგანოს, სახალხო განათლების ორგანოებს, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ბევრი რამ არ გაუკეთებიათ იმისათვის, რომ ზრუნვა და ყურადღება არ მოაკლდეს ჩვენი ქვეყნის ყოველ ბავშვს. ომიანობის დროის პირობებში, როდესაც ბევრი მშობელი ან ფრონტზე იბრძვის, ან მთელ ძალ-ღონესა და დროს საწარმოსა და კოლმეურნეობაში მუშაობას ანდომებს, ბავშვებისადმი ყურადღება ყოველნაირად უნდა იქნას გაძლიერებული.

ამის მიუხედავად, სკოლებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებში შესამჩნევად შესუსტდა აღმზრდელობითი მუშაობა. ბევრ პედაგოგს რატომღაც უკვე აღარ აინტერესებს, თუ სად და როგორ ატარებენ მოწაფეები გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს. რა პირობებში ცხოვრობენ. ფრონტელთა ბავშვებისათვის ზრუნვა ხშირად სიტყვის შედგენითა და ბავშვთა ოჯახური პირობების გამოკვლევით განისაზღვრება. ეს საჭირო საქმეა, მაგრამ ცოტაა. კომკავშირულმა და პიონერულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ არ იციან გატაცებით აგება თავისი მუშაობისა, მტკიცე დისციპლინის დაცვა და ბავშვებზე ქუჩის გავლენისათვის თავიანთი გავლენის დაპირისპირება.

ადგილებზე ზოგიერთ ხელმძღვანელს არ უნდა და არც უნარი აქვს ჯეროვნად გამოიყენოს ადგილობრივი რესურსები, ბავშვთა დაწესებულებებში ისინი არა ჰქმნიან დამხმარე მეურნეობებსა და სახელოსნოებს და მთლიანად ცენტრალური მომარაგების იმედით არიან. ასეთი ხელმძღვანელები ვერ მიმხვდარან, რომ ცენტრალური მომარაგება არ ათავისუფლებს მათ ბავშვთა გაუმჯობესებული მატერიალური მომსახურებისათვის პასუხისმგებლობისაგან.

არხანგელსკის ოლქის ქალაქ არხანგელსკსა და მოლოტოვსკში წარსულ ზამთარს საბავშვო სახლები უზრუნველყოფილი არ იყვნენ სათბობით, ცუდად მარაგდებოდნენ კვების პროდუქტებით, ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით. ამ მიზეზით ბავშვების ნაწილი სკოლაში ვერ დადიოდა. საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებათა უმრავლესობა არ მუშაობდა, ხოლო მათს ბინებში სხვადასხვა უწყებები მოთავსდნენ. აი ამიტომ ისე გამოვიდა, რომ ბავშვები იძულებული იყვნენ მთელი თავიანთი თავისუფალი დრო ქუჩაში ეტარებინათ, და ამ ქალაქებში უპატრონო ბავშვთა რაოდენობა გაიზარდა.

ქალაქ კუიბიშევში ისეთი ბიუროკრატი მოხელეები აღმოჩნდნენ, რომლებიც უარს ამბობდნენ სამუშაოზე მიეწყოთ მოზარდები, თუმცა ეს მათ მოვალეობას შეადგენს. კუიბიშევის მილიციის ორგანოებმა 237 უდედმამოდ დარჩენილი მოზარდი ქალაქის საბჭოს მდივან სობოლევს გაუგზავნეს, მაგრამ მან არც ერთი მათგანი არ მოაწყო სამუშაოზე. მან ერთი ხელის მოსმით გადასწყვიტა 237 ბავშვის ბედ-იღბალი ბიუროკრატიული რეზოლუციით — „უსაბუთოდ სამუშაოზე არ ვაწყობთ“. კუიბიშევის მილიციის მეორე განყოფილების უფროსის თანაშემწე ილჩენკომ უხეშად და მოურიდებლად გააგდო ვორონეჟიდან ევაკუირებული ბიჭი პლატოშკინი, რომელმაც არაერთხელ მიმართა მას სამუშაოზე მოწყობის თხოვნით.

სობოლევი, ილჩენკო და მათი მსგავსნი, რომელნიც დამნაშავენი არიან ბავშვებისადმი ბიუროკრატიულ მოპყრობაში, მოხსნილი არიან სამუშაოდან. ასე უნდა მოვექცეთ ყველა უსულგულო მოხელეს, რომელიც გულგრილად ეკიდება ჩვენი ბავშვების ბედ-იღბალს.

ზოგიერთ ადგილობრივ საბჭოთა, პარტიულ და პროფკავშირულ მუშაკს დღემდე ისეთი წარმოდგენა აქვს, თითქოს ბავშვებისათვის ზრუნვა მარტოოდენ სახალხო განათლების ორგანოებმა და კომკავშირმა უნდა გამოიჩინონ. ეს შემცდარი თვალსაზრისია. ბავშვთა აღზრდისათვის პასუხს აგებს ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო და, რასაკვირველია, სახალხო განათლების ორგანოები, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. ეს მათი მეორეხარისხოვანი კი არა, პირველხარისხოვანი სამუშაოა, რომელიც მუდმივსა და სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს.

ჩვენ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ ყოველნაირად გავაფართოოთ დახმარება, რომელსაც ბავშვებს ვუწევთ, და აღმოვფხვრათ ბავშვთა აღზრდის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. სასკოლო და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელის აღდგენა, აღმზრდელთა და ხელმძღვანელთა კადრების განმტკიცება, უპატრონო და უმეთვალყურეო ბავშვთა გამოვლინება ყოველგან, მათი მოწყობა სამუშაოზე და სკოლებში, ნორმალური საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების შექმნა, მათი დასვენების მოწყობა, ბავშვებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება—აი ის გადაუდებელი ამოცანები, რომლებიც ყოველთვის უნდა იდგეს პარტიული და საბჭოთა ორგანოების, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მილიციის, სარკინიგზო და სამდინარო ტრანსპორტის ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოთა, ქარხნებისა და კოლმეურნეობათა ყურადღების ცენტრში.

ომიანობის დროის სიძნელეების მიუხედავად ბავშვებისათვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რაც კი საჭიროა. ჩვენი წმიდა მოვალეობაა შევინარჩუნოთ ბავშვები, ჩვენი სამშობლოს, მისი მომავლის ოქროს ფონდი. ამ მომავლისათვის, ბავშვთა ბედნიერებისათვის ღვრიან სისხლს სამამულო ომის ფრონტებზე მამები და ძმები. ჩვენ ვალდებული ვართ არა მარტო შევინარჩუნოთ თითოეული ბავშვის სიცოცხლე, არამედ აღვზარდოთ კიდევაც მათგან თავიანთი მამების ღირსი საბჭოთა პატრიოტები, წითელი არმიის მეომრები და საბჭოთა ზურგის მუშაკები. ამას მოითხოვს ჩვენგან ხალხი. ამას მოითხოვს ფრონტი. ამას მოითხოვენ პარტია და მთავრობა.

„პრავდის“ მოწინავე, 14/VI.

მის აღმაგებულებას მ. ი. კალინინს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

მე გულწრფელად ვაფასებ თქვენს თავაზიან მომართვას აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარების პრინციპების შესახებ ჩვენს ორივე ქვეყანას შორის შეთანხმების ხელმოწერის წლისთავთან დაკავშირებით. ამ შეთანხმებამ გასული წლის მანძილზე უკვე ცხადჰყო, რომ იგი ეფექტიურ ღონისძიებას წარმოადგენს საერთო მტრის წინააღმდეგ ჩვენი ერთობლივი ბრძოლის კოორდინირებისათვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა, ასახული ამ შეთანხმებაში, კიდევ უფრო მეტად განმტკიცდება მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებში და კიდევ უფრო სრულ გამოხატულებას ჰპოვებს ომისშემდგომს პერიოდში ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა თანხმობით სამართლიანი და მტკიცე მშვიდობიანობის დამყარებისა და შენარჩუნების საქმეში.

ფრანკლინ დ. რუზველტი.

„სოვეტსკი პისატელის“ ახალი გამოცემები

გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“ გამოსცა საბჭოთა პოეტების, მთელი რიგი ახალი წიგნები სამამულო ომზე. მათ შორის გამოცემულია ა. პასტერნაკის ლექსთა კრებული „ნა რანიხ პოეზიახ“, ა. ტვარდოვსკის საფრონტო ლექსები „სმოლენშჩინა“, სურკოვის „ჯარისკაცის გული“ და ოფნია ბარტოს ლექსთა კრებული „მოზარდნი“. (საკ. ინ.).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 ივნისის დილის ცნობა

14 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე ორსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 6 ნაწილის არტილერისტებმა დაანგრიეს გერმანელთა 7 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და ბლინდაჟი, მოსპეს მოწინააღმდეგის 1 ქვემეხი და რამდენიმე ტყვიამფრქვევი. ცხრა სნაიპერმა უმცროს ლეიტენანტ ამხ. ხაზოვის მეთაურობით უკანასკნელი დღეების განმავლობაში მოსპო 93 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

მცენსკის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგემ ქვეითი ჯარით, რომელიც ტანკებისა და ავიაციის დახმარებით მოქმედებდა, რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა და ცდილობდა დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები. ჰიტლერელთა ყველა იერიში მოგერიებულ იქნა, ამასთან მოწინააღმდეგის დიდი ზარალი მოუვიდა. მარტო ერთ უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 3 თვითმფრინავი.

* * *

ბელგოროდის რაიონში ჩვენმა მებრძოლებმა ღამით შეამჩნიეს დიდი ჯგუფი გერმანელი მზვერავებისა, რომლებიც საბჭოთა პოზიციებისაკენ მოიპარებოდნენ. გვარდიის წითელარმიელმა კაპასინ ანდურასმანოვმა მარჯვე მომენტი შეარჩია და ეკვეთა გერმანელ ოფიცერს, რომელიც მზვერავთა რაზმს მეთაურობდა, და იგი ტყვედ ჩაიგდო. ამ დროს სხვა მებრძოლებმა იერიში მიიტანეს ღანარჩენ ჰიტლერელებზე და მოსპეს მათი დიდი ნაწილი. ამხ. ანდურასმანოვმა მის მიერ ტყვედ ჩაგდებული გერმანელი ოფიცერი თავისი ნაწილის შტაბში მოიყვანა.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენმა ნაღმმტყორცნელებმა დაანგრიეს გერმანელთა 5 ბლინდაჟი, მოსპეს მოწინააღმდეგის ექვსლულიანი ნაღმსატყორცნების ბატარეა და 4 სტტყვიამფრქვევი წერტილი. ერთ უბანზე გერმანელთა რაზმს ბრძოლითი დაზვერვა მოახდინა. ჰიტლერელები გაფანტულ იქნენ ისე, რომ მათ ჩვენი თავდაცვის წინა კიდეს ვერ მოაღწიეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის რამდენიმე ათეული გვამი.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენი ნაწილები ცეცხლოვან ბრძოლას ეწეოდნენ. დანგრეულია გერმანელთა 10 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 8 ბლინდაჟი, აფეთქებულია სომარი მასალის საწყობი, გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილი: ერთ ასეულამდე ჰიტლერელი.

* * *

ჟიტომირის ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა საფრიდან სროლა აუტეხეს მსუბუქ ავტომანქანას და მოაკლეს 2 ოფიცერი და ქალაქ კოროსტენის გერმანელთა პოლიციის უფროსი. პარტიზანების სხვა ჯგუფმა ააფეთქა მდინარის ხიდი. ბოუენკოს სახელობის რაზმის 5 პარტიზანმა ლანდაგიდან გადააგდო გერმანელთა სამხედრო მატარებელი. დამტვრეულია 6 ვაგონი, რომლებშიც იყვნენ გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები.

* * *

ესპანეთის დივიზიის უფროსმა კაპრალმა წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა ფრანგისკო ბ-მ განაცხადა: „თებერვალში დივიზიას მძიმე ზარალი მოუვიდა. მას შემდეგ ყველა ჯარისკაცი მუდმივ შიშს განიცდის. ისინი სთვლიან, რომ გერმანიის სამხედრო მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, და ცდილობენ, ვიდრე გვიან არ არის, თავი დააღწიონ რუსეთს. ამას წინათ დივიზიის შემადგენლობას შეუერთეს 22-რე სამარშო ბატალიონი. მოსული ოფიცრები აშკარად გამოსთქვამდნენ აღშფოთებას იმით, რომ ესინი მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ გამოჰგზავნეს რუსეთში. ერთი ლეიტენანტი ჯერ კიდევ გერმანიაში ჩამოსცილდა ეშელონს და სადღაც ჩარჩა. ჯარისკაცთა ჯგუფი გაიქცა გზაში, როცა ფრონტისკენ ჰოვდიოდით. ამ ბატალიონის 30-მდე კაცი არაკეთილსაიმედოდ სცნეს და უკან, ესპანეთში დააბრუნეს“.

* * *

ბელგიაში პატრიოტებმა დანდრის არხზე ააფეთქეს რაბი და ჯეგირი. შემთხვევის ადგილას მოსულ გესტაპოელთა რაზმს თოფტყვიამფრქვევის ცეცხლით შეხვდნენ. შარლეროაში ერთი დიდი საწარმოს მუშებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ორი ამწე. მეხელნის ახლოს თავისუფალმა მსროლელებმა რამდენიმე ადგილას დააზიანეს რკინიგზის ლიანდაგი.

15 ივნისის საღამოს ცნობა

15 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

15 ივნისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს 40-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 4 საარტილერიო და 3 სანაღმმტყორცნო ბატარეის ცეცხლი, დაამსხვრიეს რამდენიმე სარკინიგზო ეშელონი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩახშობილია მტრის 4 საარტილერიო და 2 სანაღმმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. ერთ უბანზე ჩვენმა მზვერავმა რაზმმა იერიში მიიტანა მტრის პოზიციებზე და ხელჩართულ ბრძოლაში მოსპო 40 ჰიტლერელი. მზვერავებმა ააფეთქეს 2 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, წაართვეს მტერს გრანატმტყორცნი, ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ავტომატი და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

გერმანელთა თვითმფრინავი, რომელიც დაზიანებულ იქნა საზენიტო არტილერიის ცეცხლით, იძულებით დაეშვა ჩვენი ჯარებას განლაგებაში. თვითმფრინავის ეკიპაჟი წამოყვანილია ტყვედ.

* * *

მცენსკის ჩრდილო-დასავლეთით ნ ნაწილის მებრძოლებმა კვლავ მოიგერიეს გერმანელთა ქვეითი ჯარის 4 კონტრიერიში. ერთ შემთხვევაში მტერმა კვამლის ფარდის საფარქვეშ მოახერხა გამოჭრილიყო იმ დასახლებული პუნქტის გარეუბანში, რომელიც ამ დღეებში დაიკავეს ჩვენმა ქვეგანაყოფებმა. ჩვენმა მებრძოლებმა კონტრდარტყმით უკუაგდეს ჰიტლერელები. დღის დამლევისათვის გერმანელებს ძალა გამოელიათ და მათ იერიშები შესწყვიტეს. დღის განმავლობაში მოსპობილია მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 5 ტანკი. წამოღებულია დავლა.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ასეული ცდილობდა იერიში მოეტანა ნ ნაწილის საბრძოლო დაცვაზე. ჩვენმა მებრძოლებმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჟლიტეს 60-მდე ჰიტლერელი.

ჩვენმა მფრინავებმა თავდასხმები მოახდინეს მტრის ზურგზე და დაარტყეს გერმანელთა რკინიგზის სადგურებს, ეშელონებსა და საწყობებს. დაბომბვის რაიონებში დიდი ხანძრები გაჩნდა. აღნიშნულია რამდენიმე ძლიერი აფეთქება.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენმა არტილერისტებმა რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს გერმანელთა თავდაცვითს ნაგებობებზე. საარტილერიო ცეცხლის შედეგად მოსპობილია 3 ქვემეხი, სანაღმმტყორცნო ბატარეა, 7 ტყვიამფრქვევი, დანგრეულია 3 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, 6 ბლინდაჟი და 3 სათვალთვალო პუნქტი, გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილია მოწინააღმდეგის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სევსკის რაიონში ნ ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს მტრის საარტილერიო ბატარეა და გაანადგურეს მისი ადალი, სხვა უბანზე საარტილერიო ცეცხლით დანგრეულია მტრის 2 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, მოსპობილია ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი და 80-მდე ჰიტლერელი.

* * *

ბრესტის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა დანაღმა რკინიგზის ვაკისი. ამ გზაზე მიმავალი გერმანელთა სამხედრო მატარებელი ნაღმებზე აფეთქდა და ლიანდაგიდან გადავარდა. დამტვრეულია ორთქლმავალი, 14 ვაგონი ჯარისკაცებიანად და ოფიცრებიანად და ორი პლატფორმა ავტომანქანებიანად. ბრესტ-მინსკის რკინიგზის უბანზე კიროვის სახელობის რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს სამხედრო ეშელონი ავტომანქანებიანად. ორთქლმავალი და პლატფორმები დაიმსხვრა, ავტომანქანები მთლად გაფუჭდა. მაისის ბოლოს კოტოვსკის სახელობის რაზმის ბრესტელ პარტიზანთა ჯგუფი უეცრად შეიჭრა ფაშისტი მემამულის მამულში, მოსპო მცველი რაზმი, დაწვა სახლი და სხვა ნაგებობანი. პარტიზანებმა მამულში ხელთ იგდეს და მოსახლეობას დაურიგეს 250 ძროხა.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა მე-12 ქვეითი დივიზიის ჯარისკაცმა ფრანც ნ-მ განაცხადა: „გერმანელთა სამხედრო საპყრობილეებიდან და საჯარიმო ბანაკებიდან ყოველდღე ვადაზე ადრე უშვებენ მრავალი წლით პატიმრობამისჯილთა ჯგუფებს და ჰგზავნიან მათ საჯარიმო ბატალიონებში ფრონტზე. მათ ადგილზე მიდიან სხვა დამნაშავე ჯარისკაცები. მე რამდენიმე თვეა ვიჯექი ელბის ტორგაუს საპყრობილეში. სარდაფში მეტად ვიწრო საკნებში იმყოფებოდნენ ბორკილებით შებოჭილი ჯარისკაცები, რომელთაც უარი ეთქვათ მრძოლაზე. სიკვდილმისჯილთ ციხის გალავანს გადაღმა ხვრეტდნენ. იმ ხნის განმავლობაში, რაც მე საპყრობილეში ვიყავი სიკვდილით დასჯილ იქნა 38 კაცი“.

* * *

ლანსსა და მის მიდამოებში ჩასაფრებულმა ფრანგმა თავისუფალმა მსროლელებმა 8 გერმანელი ოფიცერი და უნტერ-ოფიცერი მოჰკლეს. ისიში პატრიოტებმა დასწვეს გერმანელთა სამხედრო გარაჟი, რეიმსის მახლობლად თავისუფალი მსროლელები თავს დაესხნენ გერმანელთა ავტოკოლონას და მოსპეს რამდენიმე ათეული სატვირთო ავტომანქანა. ლუარის დეპარტამენტში პატრიოტებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელ ოკუპანტთა სამხედრო ეშელონი.

დაბრუნება

მოქმედი არმია, 14 ივნისი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან) აპრილის ბოლოს, იუწყებოდა რა საბჭოთა თვითმფრინავების დიდი ჯგუფის ერთ-ერთი წარმატებითი თავდასხმის შესახებ მტრის ღრმა ზურგში, საბჭოთა საინფორმაციო ბიურო აღნიშნავდა, რომ ყველა თვითმფრინავი, ერთის გარდა, თავის ბაზაში დაბრუნდა. ამ დღეებში თავის ბაზაში დაბრუნდა მფრინავი, რომელსაც ეს თვითმფრინავი მიჰყავდა, — გვარდიის უფროსი ლეიტენანტი გრიგოლ პროკოფის-ძე კოვბასა. დაახლოებით 40 დღეს დაჰყო მან მტრის ზურგში. ამხ. კოვბასა გვიამბობს:

— ეს იყო ჩემი 52-ე გაფრენა შორეული ბაზების დასაბომბავად. ობიექტს რომ მივუახლოვდი, საზენიტო ხშირი ცეცხლის ზონაში მივხვდი. მარჯვენა მოტორი დაზიანდა და ჩაჩუმდა. თვითმფრინავმა იწყო სიმაღლის დაკარგვა. მაგრამ მე განვაგრძობდი ზუსტად კურსით სვლას. სამხედრო ობიექტების რაიონში უკვე უზარმაზარი ხანძრები გიზგიზებდა. ჩემს მიზანთან მივედი და ბომბების ტვირთი დანიშნულებისამებრ დავაყარე.

მომელოდა უკან დასაბრუნებელი ძნელი გზა. თვითმფრინავი მცირე სიჩქარით მოდიოდა და განაგრძობდა სიმაღლის დაკარგვას. „მესერშმიტებს“ სროლით ვიგერიებდით, გვერდს ვუხვევდით ჩვენთვის ცნობილ საზენიტო ცეცხლის ზონებს და განვაგრძობდით ჩვენი ტერიტორიისაკენ სვლას. უეცრად, ახალ დაზიანებათა შედეგად, შეჩერდა მეორე მოტორი. რჩებოდა ერთი გამოსავალი — პარაშუტით გადმოხტომა და მიწაზე ბრძოლის განგრძობა. ასე აღმოვჩნდი მტრის ღრმა ზურგში. ვისარგებლე სიბნელით და დროის დაუკარგავად ამომსავლეთისაკენ წამოვიდი. აქამდე მე მიხდებოდა მხოლოდ ფრენა მტრის ზურგში, ახლა კი საკუთარი თვალით ვხედავდი, თუ რას ნიშნავს ჰიტლერელთა პარპაში. ღამ-ღამობით მოვდიოდი სრულიად დანგრეულ სოფლებსა და დაბებზე. ხანდახან ქოხებს კარს მივუკაკუნებდი. გაწამებული ქალები შიშით მიღებდნენ კარს, და როდესაც შეიტყობდნენ, ვინ ვიყავი, თვალზე ცრემლი უბრწყინვადათ. ბევრი საშინელი ამბავი გავიგონე მათგან. ერთ სოფელში ჰიტლერელებმა მთელი მცხოვრებლები ქოხში შეაყარეს და ცეცხლი წაუკიდეს. დაიწვნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანები. ცეცხლში დაიღუპა რუსული სოფელი. ეს იყო უაზრო სისასტიკე.

მეთერთმეტე ღამეს სროლის ხმა გავიგონე.

— პარტიზანები! — გადავწყვიტე მე. მართლაც, პარტიზანები ბრძოლას ეწეოდნენ, მაგრამ მათთან მისვლა არ მოხერხდა. რაკი ვითარებას არ ვიცნობდი, შეიძლებოდა ფაშისტების პატრულებს წავწყდომოდი. მეორე ღამეს სროლა განახლდა. დღის განმავლობაში გავერკვიე გარემოებაში და ტყით მივედი პარტიზანთა რაზმთან. პარტიზანები ოდიოთი დაუკავშირდნენ ჩვენს სარდლობას და გულთბილად მიმიღეს. აქ კარაბინი ავიღე და სახალხო შურისმგებლებთან ერთად მონაწილეობას ვიღებდი საბრძოლო ოპერაციებში. ჩვენ მოვახერხეთ გარნიზონის კომენდანტის, „სს“-ელის მოკვლა, რომელიც ავტომობილით მიდიოდა.

ივნისის დამდეგს ჩვენ მოვაწყეთ ძირდასაბვები მოედანი და ჩემს წასაყვანად მოფრინდა ჩემი მებრძოლი მეგობარი, გვარდიის ლეიტენანტი ტიმოთე ტარასიუკი. მასთან ერთად დავფრინავდი დასაბომბავად. სონანულით გავშორდი შესანიშნავ მეგობრებს—სახალხო შურისმგებლებს.

მაგრამ, რაც მე იქ ვნახე და განვიცადე, ამას ვერასოდეს ვერ დავივიწყებ. კიდევ უფრო მეტი სიძულვილით ვურტყამ მოსისხლე მტერს, რომელიც ანადგურებს ჩვენს მიწა-წყალს, სპობს მშვიდობიან მოსახლეობას.

ვ. მედვედევი

ბაღრაგის სათავეში

ფლოტში არ არის ტრალერობაზე უფრო შრომატევადი და ამავე დროს ნაკლებად შესამჩნევი სპეციალობა. ტრალერები მთელი დღეობით და კვირეობით ზღვაში არიან და სწმენდენ ფარვატერებს დიდი საბრძოლო გემებისა და ტრანსპორტების გასავლელად. ძნელი და სახიფათოა ტრალერის მუშაობა. იგი ისეთივეა, როგორც ხმელეთზე—მუშაობა მესანგრისა, რომელიც ჯარების წინ მიდის და გზას უწმენდს ტანკებსა და ქვეითს ჯარს. სადაც ტრალერი გაივლის, იქ დამშვიდებით შეუძლიათ გავლა საბრძოლო ხომალდსა და ტრანსპორტს. მათთვის გაკეთებულია გასავლელი მტრის მიერ ნოწყობილ ლობურაში. ტრალერის გავლის შემდეგ ფარვატერი გაწმენდილია ნაღმებისაგან.

დაუღალავი მშრომელის სახელით დამსახურებულად სარგებლობს № 32 ტრალერი უფროს ლეიტენანტ **დუგლაძის** მეთაურობით. ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე იგი ხვდება და აკილებს საბრძოლო ხომალდებსა და ტრანსპორტებს. № 32 ტრალერმა ოცდარვა ბადრაგი გაატარა სახიფათო ფარვატერებსა და დანაღმულ რაიონებში. 80 ტრანსპორტმა გაიარა ამ პატარა ხომალდის კილვატერში ისე, რომ ზარალი არ მოსვლია. ტრალერის საბრძოლო აქტივშია ბევრი მოსპობილი ნაღმი, მრავალი საზვერავი ლაშქრობა და ნაღმებისაგან გაწმენდილი მრავალ ათასი მილი საზღვაო გზა.

№ 32 ტრალერის მეთაურს ამხ. დუგლაძეს ერთი უცვლელი წესი აქვს: ქარავნის ყოველი ბადრაგობის წინ—იგი თავს მოუყრის ხოლმე ხომალდების კაპიტანებს და მოითხოვს მათგან ზუსტად დაიცვან ბადრაგაში მოძრაობის არსებული წესები.

ტრალერის ეკიპაჟი განუწყვეტლივ სწავლობს. დღითა-დღე იგი აუმჯობესებს მტრის წყალქვეშა ნავების, ავიაციისა და ნაღმების წინააღმდეგ ბრძოლის ჩერხებს. საშტურმანო ნაწილის პირადი შემადგენლობა ვარჯიშობს ხომალდის ტარებაში ნისლის დროს, როცა რაიმე საშუალებით, გარდა გამოთვლისა, შეუძლებელია საკუთარი ადგილმყოფობის გამორკვევა. და მეზღვაურებს კარგად აქვთ შეთვისებული ეს მეთოდი.

სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის № 32 ტრალერი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

პ. ივანოვი

„პრავდა“, 2 ივნისი.

უკანასკნელი ცნობები

ა. შ. შტატების შეიარაღებულ ძალთა რაოდენობის ზრდა

ნიუ-იორკი, 15 ივნისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ა. შ. შტატების შეიარაღებულ ძალთა რაოდენობა ივნისის დამლევს მიაღწევს 9.200.000 კაცს. 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე სამხედრო სამსახურში ყოველთვიურად გაიწვევენ 300.000 კაცს.

მიმდინარე წლის ივლისისათვის ა. შ. შტატების სამხედრო ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს, მრეწველობაში ჩაბმული მუშებისა და შეიარაღებულ ძალთა პირადი შემადგენლობის ჩათვლით, 63 მილიონი მამაკაცი და ქალი. უკანასკნელი თორმეტი თვის განმავლობაში ა. შ. შტატების სამხედრო მრეწველობაში დამატებით იქნა ჩაბმული კიდევ 2.300.000 კაცი. ამავე პერიოდში არმიასა და ფლოტში გაწვეულ იქნა 5 მილიონი 400 ათასი კაცი.

ა. შ. შტატების საავიაციო მრეწველობაში ჩაბმული მუშების რაოდენობა, რაც 1941 წლის დეკემბერში 465.000 კაცს უდრიდა, ამა წლის მარტში 1.800.000-მდე გაიზარდა. გემთმშენებლობის მრეწველობაში მუშათა რაოდენობა იმავე პერიოდში 523.000-დან 1.600.000 კაცამდე გაიზარდა.

ცეცხლი გერმანელთა ზარბაზანს

დასავლეთის ფრონტი, 14 ივნისი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). უკვე რამდენიმე დღის განმავლობაში მტრის წინა კიდიდან ჩვენს თავდაცვას უშენდა გერმანელთა ზარბაზანი. იგი სროლას იწყებდა დღე-ღამის სხვადასხვა დროს: განთიადისასაც, გვიან ღამითაც, დღისითაც და სადილობის დროსაც. ჩვენი ქვეითების

გაღაჭრით გავაძლიეროთ ნათესების დამუშავების ზემკები

გულმოდგინედ დავამუშაოთ ნათესები

გურჯაანი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობათა უმრავლესობაში წარმატებით ასრულებენ ლაგოდეხის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მოწოდების სპასუხოდ აღებულ ვალდებულებებს და ნაყოფიერ შრომას ეწევიან ნათესების მაღალხარისხოვნად დამუშავებისა და უხვი მოსავლის მისაღებად. სოფელ იორმუღალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამზა მამედოღლი) მთელ თავის ძალებს გაუყეთა მობილიზაცია და დაწესებულ ვადაზე ადრე დაამთავრა სიმინდისა და მზესუმზირის პირველი თოხნა. 105 ჰექტარი ნათესი კარგად არის დამუშავებული. მათ უკვე დაიწყეს მეორე თოხნა და რამდენიმე დღეში 30 ჰექტარზე მეტი გათოხნეს. სოფელ ვეჯინის კოლმეურნეობა „კოლექტიურმა შრომამ“ (თავმჯდომარე კოტე ჩერქეზიშვილი) პირველად უკვე გათოხნა 80 ჰექტარი სიმინდი და 33 ჰექტარი მზესუმზირა. სათოხნი კულტურების დამუშავება სწრაფად და ხარისხოვნად იმდინარეობს აგრეთვე სოფელ ბოგდანოვკის სტალინის სახელობის, სოფელ ყანდაურის ლენინის სახელობის, შიბლიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობებში. შიბლიანელი კოლმეურნეები მიხაკო ჭამიაშვილი, ვანო კოლოტაძე, ნიკო ზარიაშვილი თოხნის ნორმებს ყოველდღიურად 200 და მეტი პროცენტით ასრულებენ. დღიურ დავალებებს 150 და 160 პროცენტით ასრულებენ აგრეთვე კალაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები გიგა ზარდიაშვილი, ვარა კირვალიძე, მაშო კასარლიშვილი.

მაგრამ რაიონში არიან ისეთი კოლმეურნეობებიც, სადაც კოლმეურნეობათა გამგეობების და მათი თავმჯდომარეების უყურადღებობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად დაუმუშავებელი რჩება ნათესები. რითაც ბრკოლდება მაღალი მოსავლის მიღების საქმე. მაგალითად, სოფელ ახაშნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის დათა მუნჯიშვილის უპასუხისმგებლობის შედეგად, 57 ჰექტარ სიმინდიდან გათოხნილი აქვთ მხოლოდ 16 ჰექტარი, 18 ჰექტარ მზესუმზირიდან კი არცერთი ჰექტარი, მაშინ როცა ახლა ფაქტიურად მეორე თოხნა უნდა მიმდინარეობდეს. მათი ნათესები დანაგვიანებულია სარეველა ბალახებით. ასევე დაუმუშავებელია სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ვანო ლიპარტაშვილი) ნათესები. მათ აქვთ 40 ჰექტარი სიმინდი, რომლის პირველი თოხნა ჯერ არ დაუწყიათ, ხოლო 15 ჰექტარ მზესუმზირიდან გათოხნილია 3 ჰექტარი. ასეთსავე უზრუნველობას და უპასუხისმგებლობას აქვს ადგილი ჩუმლაყის კოლმეურნეობა „გუთანში“, სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის, კოლმეურნეობაში. აქ დასახელებულ კოლმეურნეობებს უდავოდ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ გულდასმით მოუარონ ნათესებს, მაგრამ მაქსიმალურად არ იყენებენ კოლმეურნეობაში არსებულ მუშახელს, დაბალია შრომის დისციპლინა, რითაც აიხსნება ჩამორჩენა ნათესების დამუშავებაში. დრო არ ითმენს, ისეთი კულტურების თოხნის დაგვიანება, როგორიც სიმინდი და მზესუმზირაა, იმას ნიშნავს, რომ შეეურიგდეთ დაბალი მოსავლის მიღებას, რაც არ შეიძლება დავუშვათ. ეს უნდა გაითვალისწინონ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სამიწადმოქმედო ორგანიზების ხელმძღვანელებმა და გადამწყვეტი ზომები მიიღონ, რათა არცერთი ჰექტარი ნათესი არ დარჩეს დაუმუშავებელი. ამას მოითხოვს სამშობლოსა და ფრონტის ინტერესები.

შ. მაჭავარიანი

მასობრივად გაჩაღდა პარკის დამზადება

ჩხოროწყუ („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონში 11 ივნისს დაიწყო სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის ჩაბარება. სოფ. ნაკიანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან ქისტაურელ სტახანოველ მეაბრეშუმეთა მეთოდით მომუშავე მატრონა დოლაბაძემ 11 ივნისს 10 გრამი თესლიდან პუნქტს ჩააბარა 41 კილოგრამი და 400 გრამი პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკი. პარკი პირველად ჩააბარეს პუნქტს აგრეთვე სოფ. ხაბუმის ორჯონიკიძის სახელობის და სოფ. ახუთის 7 ნოემბრის სახელობის კოლმეურნეობებმა.

დაიწყო პარკის მასობრივად ჩაბარება.

ნ. ჯანჯღავა

ნათესებს კარგად უვლიან

საჩხერე („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეები თავდადებულად მუშაობენ უხვი მოსავლის მისაღებად. მათ ვადამდე დაამთავრეს თესვა და ახლა უკვე გააჩაღეს ნათესების დამუშავება. სიმინდის მარგვლა წარმატებით მიმდინარეობს სოფ. საირხის მახარაძის სახელობისა და სოფ. ჩიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობებში, აგრეთვე კალვათის კოლმეურნეობა „ოქტომბრის სხივში“ და სხვ.

სოფ. კალვათის კოლმეურნეობა „ოქტომბრის სხივში“ (თავმჯდომარე ბ. კაპანაძე) ფართოდ იყენებენ ქალთა და მოზარდთა შრომას. საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან კოლმეურნეები ამბ. ი. გულიაშვილი, ა. ჯალავანდიშვილი, ა. გულიაშვილი, ზ. კაპანაძე, კალისტინე და ოლია ფალავანდიშვილები.

პ. ჭიოკაძე

საქონლის მოშენების წლიური გეგმა შესრულებულია

მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებმა 1 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი საქონლის და ღორის სულადობის 1943 წლის სახელმწიფო გეგმა. გეგმით რაიონის კოლმეურნეობებს 1944 წლის 1 იანვრისათვის უნდა ჰყავდეთ 5.540 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, ფაქტიურად ჰყავთ 5.552 სული. ღორი უნდა ჰყავდეთ 250 სული, ჰყავთ—356 სული. აგრეთვე ხორცის სახელმწიფო დამზადების მეორე კვარტალის გეგმა რაიონმა 1 თვისისათვის 100 პროცენტით შეასრულა.

საქ. კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი კაპანაძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მანანია

ჩაის ფოთოლი ვჭრიფოთ დროულად და მაღალხარისხოვნად

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფა კარგად მიმდინარეობს სოფ. ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. მოწინავე კოლმეურნეები: აგრაფინა ცხვიტავა, მარო ნინოა, ლიდა ადამია, ოლღა ცხვიტავა დღიურ ნორმებს 350-400 პროცენტით ასრულებენ. 90 წლის მოხუცი ქალი ედუ გუნია ყოველდღიურად 40-45 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 16 კილოგრამისა.

დროულად და გადამეტებით ასრულებენ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმებს სოფ. ლეძამის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სოფ. ბეთლემის კოლმეურნეობა, სოფ. ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სოფ. ხორშის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობა.

უშფათელი კოლმეურნეები ნაზია კუჭავა და ლიზა ბოღაშვილი ყოველდღიურად 150-180 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფენ, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 22 კილოგრამისა. სოფ. ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ბუჟღუ გაბისონია, ნ. დადიანი, მ. ყურაშვილი და ა. კორშია ყოველდღიურად 60-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფენ, ნაცვლად 16 კილოგრამისა.

კარგად მუშაობენ აგრეთვე სოფ. ლეძამის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველები: ო. რუხაია, ნ. აფხაზავა, ლ. არზიანი, ქ. ძაძამია, თ. ჯოჯუა და სხვ.

ს. კუჭავა

„ოქროს გასაღები“ მუსიკმედიის თეატრში. სურათზე მსახიობები როლებში: შ. ოსიფაშვილი (ანდრეი), თ. როდე-ჩიქავაძე (ნატალია), ვ. სალარიძე (არკადიევი), ვ. გერასიმია (უნგერტი), ი. ბაკაკური (კუზჰიჩი).

ფოტო ვ. გინზბურგისა.

„ოქროს გასაღები“

მთელ რიგ საინტერესო პრემიერებს, რომლებიც თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრმა განახორციელა სამამულო ომის დღეებში, მიემატა ახალი დადგმა—მუსიკალური კომედია „ოქროს გასაღები“, რომლის მუსიკა თეატრის დაკვეთით დასწერა უკრაინის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კ. დანკევიჩმა (ტექსტი კოლტუნოვისა და ზისკინდის).

სამამულო ომის თემის გადაჭრა ოპერეტული ჟანრის ნაწარმოებით მეტად რთული და ძნელი საქმეა. ავტორებმა და თეატრმა ეს სიძნელე დასძლიეს. სპექტაკლი დამაჯერებლად აგვიწერს ამბებს, რაც გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხდება. ეს მუსიკალური კომედია დიდი სიყვარულით გვიხატავს პარტიზანების, საერთოდ საბჭოთა მოქალაქეების თავდადებას და აშკარავებს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა მხეცობას. სპექტაკლში არის ძლიერი დრამატიული და სატირულ-კომედიური ადგილები. მაყურებელი გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს მთავარ გმირთა თავგადასავალს, განიცდის მათ განსაცდელს და მათთან ერთად ხარობს, როცა პარტიზანები ჰიტლერელებს შემოსრავენ კოლმეურნეობა „ოქროს გასაღებში“.

რეჟისორ ბ. გამრეკელისა და მსახიობთა წინაშე რთული ამოცანა იდგა. საჭირო იყო ზომიერების დაცვა, რომ კომედიური ადგილების გახსნისა და მოქმედ პირთა სახეებს მოხაზვისას არ დაკარგულიყო რეალობა და დამაჯერებლობა. რეჟისორის მუშაობას ახასიათებს გამომგონებლობა, ფანტაზია, წონასწორობის დაცვა. სპექტაკლი აღწევს მიზანს: დარბაზში დაუსრულებელი სიცილია, მაგრამ ამ სიცილის შემდეგ მაყურებელს რჩება სიძულვილის ძლიერი გრძნობა გერმანელი ოკუპანტების მიმართ, რომელთა დამარცხებით თავდება სპექტაკლი. ავტორები მაყურებელს მომხდარი ამბების მოწმედ არ სტოვებენ, არამედ კიდევ უფრო უღვივებენ მტრისადმი სიძულვილს. ამაშია სპექტაკლის მნიშვნელობა და გამარჯვება.

ყველაზე ძნელი ამოცანა ამ სპექტაკლში ვ. გერსამიას ხვდა წილად. იგი თამაშობს სოფელ „ოქროს გასაღების“ გარნიზონის უფროსის ობერ-მაიორ უნგერტის როლს. უნგერტი სასაცილო და ბორორტია. იგი გერმანელია, რომელიც უკრაინაში ჩამოვიდა საბჭოთა ქვეყნის გასაძარცვავად. ვ. გერსამიამ შესძლო ოპერეტული შაბლონის გადალახვა. მან დღევიზიტა უნგერტი, რომელიც მოხერხებული ეა საშიში მტერია, მაგრამ ხშირად სასაცილო მდგომარეობაში ვარდება, ისე როგორც მისი ფიურერი.

ასევე რთულია ნ. მოსეშვილის როლი—ბარისკაცი ფრიცი. წარმოშობით იგი ავსტრიელია, მაგრამ ძალიან მოგვაგონებს შვეიკს. მას არ სურს ფიურერისთვის მოკვდეს. ამიტომ ყოველგვარ ზომას იღებს როგორმე ცოცხალი დარჩეს და სიამოვნებით ბარდება ტყვედ. ნ. მოსეშვილი ამ რთულ როლს ზომიერი ტაქტითა და მისთვის ჩვეული უშუალობით ასრულებს.

უფრო გარკვეული სახეა პიუპკე. იგი გერმანელი ფაშისტი ბანდიტია, მეუნჯეული ყახბის შვილი. ომი მისთვის ძარცვა-გლეჯაა. მეწუღიშვილი სწორედ გვიხატავს ამ ცხოველს, გერმანიის არმიის ტიპიურ წარმომადგენელს.

თ. როდე-ჩიქავაძე პარტიზანი ქალიშვილის ნატალკას როლს ასრულებს. მსახიობს სასიამოვნო და ძლიერი ხმა აქვს. იგი გვიხატავს პატრიოტი ქალიშვილის სახეს, რომელიც პირად ბედნიერებაზე მაღლა აყენებს გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლას. მისი დისსეული პარტნიორია შ. ოსიფაშვილი (ანდრეი), რომელიც მესანგრე პარტიზანის დასამახსოვრებელ სახეს ჰქმნის.

რთულია ვ. სალარიძისა (არკადიევი) და მ. ინგილოს (ნელი) როლები. მტრის ზურგში შემთხვევით დარჩენილი საბჭოთა მსახიობები ოსტატურად აყენებენ თავის ნიჭს და დახვრეტის საფრთხესაც არ ერიდებიან ოღონდ პარტიზანებს დაეხმარონ ტაშისტური გარნიზონის შემუსვრაში. ვ. სალარიძე და მ. ინგილო მოსაწონი სიხალისითა და ზომიერების დაცვით ასრულებენ ამ რთულ როლებს.

დამსახურებული მოწონება მოიპოვეს აგრეთვე ი. ბაკაკურმა (კუზმიჩი), ზ. ჯალიაშვილმა (პროხოროვნა), ბ. კობერაძემ (რაზმის უფროსი), გ. პოლოსოვმა (ფედია), თ. რომანოვამ (ოცეკვავე კოლმეურნე), შ. ტატუნაშვილმა (შულეი) და სხვ. კარგია დ. მირიანაშვილის დეკორატიული გაფორმება. ქორეოგრაფ დ. მაჭავარიანის მიერ დადგმული ცეკვები წარმატებით სარგებლობს. უკანასკნელი სურათის მასობრივი ცეკვა შემსრულებლებს გაამეორებინეს კიდეც. სპექტაკლს ეტყობა დირიორი კ. მაჩაბლის მტკიცე ხელი.

გ. რიონელი

დეპეშები

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 15 ივნისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 14 ივნისს ღამით ინგლისის მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ სხვადასხვა ობიექტებს რურის დასავლეთ ნაწილში, კერძოდ ობერჰაუზენს. ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. ამ ოპერაციებიდან 18 ბომბდამშენი არ დაბრუნებულა. ჩრდილოეთ საფრანგეთსა და ჰოლანდიაში საპატრულო ფრენის დროს იერიში მიტანილ იქნა რკინიგზის ობიექტებზე.

13 ივნისს ღამით სანაპირო ავიაციის თვითმფრინავებმა ჰოლანდიის სანაპიროსთან იერიში მიიტანეს მტრის გემთა ქარავანზე. ერთ დიდ სატვირთო გემზე ძლიერი აფეთქება მოხდა, მეორე—ნაკლები ტონა წყალწყვის გემი ჩაძირულ იქნა. დაზიანებულია მტრის სულ ცოტა 4 საესკორტო ხომალდი.

როგორც საავიაციო დაზვერვის მონაცემებიდანს სჩანს, 13 ივნისს ბრემენზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის შემდეგ ძლიერ დაზიანდა გემთსაშენები.

ხმელთაშუა ზღვის ბასეინში მოკავშირეთა საჰაერო ძალები განაგრძობდნენ იერიშის მიტანას მტრის ობიექტებზე სიცილიაში. ნეაპოლგურ მესინის რაიონში აღნიშნულია მრავალი ხანძარი და აფეთქება.

„ძენნიკ პოლსკიმ“ დაამახინჯა ჩერჩილის სიტყვის ტექსტი

ლონდონი, 10 ივნისი (საკდესი). გაზეთმა „ძენნიკ პოლსკიმ“ მოწინავე სტატიაში დაამახინჯა ჩერჩილის მიერ თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვის ტექსტი. ჩერჩილმა სთქვა: „ჩვენ მომზადებულნი ვართ იმისთვის, რომ ეს ომი მოვიგოთ მძიმე ბრძოლით, და თუ საჭირო იქნება,—მარტო სასტიკი ბრძოლებით“. „ძენნიკ პოლსკის“ ამ გამოსვლის კომენტარში სიტყვის ეს ნაწილი პოლონურ ენაზე შემდეგნაირად აქვს თარგმნილი: „ჩერჩილმა სთქვა: „საჭიროების შემთხვევაში მარტონი ვიბრძოლებთ“. მას, უეჭველია, მხედველობაში ჰქონდა ინგლის-ამერიკის შესაძლო „მარტოობა“. საჭირო არ არის დავუმატოთ ამას, რომ ამ „მარტოობაში“ ინგლისთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მუდამ იქნებიან ის ხალხები, რომლებიც იდეალებს კერძო ინტერესებზე მაღლა აყენებენ“.

ინგლისურ წრეებში დღეს გამოსთქვამენ გაკვირვებას „ძენნიკ პოლსკის“ „საშინელი უპასუხისმგებლობის“ გამო. კომენტარებში სტატიას ახასიათებენ როგორც „დაუშვებელ მოვლენას“ და გამოსთქვამენ აზრს, რომ ამ ჯერად, უეჭველია, მიღებული იქნება ოფიციალური ზომები.

უილიამ შირერი ომის პერსპექტივების შესახებ

ლონდონი, 10 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ფართოდ ცნობილი წიგნის „ბერლინის დღიურის“ ავტორმა უილიამ შირერმა, რომელიც ახლახან ჩამოვიდა ინგლისში, გაზეთ „დეილი მეილის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში გამოსთქვა აზრი იმის შესახებ, თუ სად და როდის იქნება დამარცხებული ჰიტლერი. გაზეთის მიერ დაბეჭდილი სტატია შესდგება შირერის პასუხებისაგან მისთვის მიცემულ მთელ რიგ შეკითხვებზე.

კითხვა: „შეგძლებთ თუ არა ჩვენ წელს დავამარცხოთ ჰიტლერი?“

პასუხი: „შეგვიძლია, მაგრამ გერმანელები ალბათ მთელ ზამთარს გასძლებენ“.

კითხვა: „როგორ შეიძლება მივაღწიოთ ჰიტლერის რაც შეიძლება სწრაფად დამარცხებას?“

პასუხი: „ევროპის კონტინენტზე შეჭრით ყველაზე უფრო მოკლე და სწორე გზით“.

კითხვა: „როგორია თქვენი აზრი გერმანიის დაბომბვის, როგორც ომში გამარჯვების საშუალების, შესახებ?“

პასუხი: „არის რისკი, რომ ჩვენ შეგვიძლია გადაჭარბებით შევაფასოთ ეს საშუალება, და მე, უეჭველია, არ მჯერა ის, რომ ომი შეიძლება მოგებულ იქნას მხოლოდ ამ მეთოდით. მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომლებიც ფიქრობენ, რომ დაბომბვის საუკეთესო ობიექტს ბერლინი წარმოადგენს. ბერლინი მთელი ოკუპირებული ევროპის შტაბია. ამასთან დაკავშირებით მოწინააღმდეგის ყოველ იერიშს მის წინააღმდეგ განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ბერლინის წინააღმდეგ ყოველ ღამე რომ იგზავნებოდეს თუნდაც მარტო სამი ბომბდამშენი მხოლოდ იმისათვის, რომ გერმანელებს ძილის საშუალება არ მისცენ. ჩემი აზრით, ამას უდიდესი ეფექტი ექნებოდა. გერმანელები რომ არ მივაჩვიოთ ასეთ ტაქტიკას, კარგი იქნებოდა კვირაში ერთხელ ჩაგვეტარებინა ნამდვილი დიდი თავდასხმა“.

კითხვა: „რა შეუძლია ჰიტლერს გააკეთოს იტალიის მიმართ?“

პასუხი: „ჩემი პირადი აზრით, თუ ღერძის სახელმწიფოები მეტად ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ჰიტლერი თავს მიანებებს იტალიას და მიმართავს თავდაცვითს ომს ფრონტის შემოკლებულ ხაზებზე ცენტრალურ ევროპაში“.

კითხვა: „მოსალოდნელია თუ არა გერმანიის შინაგანი კრახი მისი არმიების სრულ მოსპობამდე ბრძოლის ველზე?“

პასუხი: „როგორც კი გერმანიის არმიის ხელმძღვანელები დარწმუნდებიან, რომ თამაში წაგებულია, ისინი, როგორც მე ვფიქრობ, შეეცდებიან გაამეორონ ჰიტლერი და მთელი მისი ხროვა. თუ გენერლები ამას შესძლებენ, მე ვფიქრობ, რომ ისინი დაუყოვნებლივ წამოაყენებენ ზავის პირობებს,—რაც დიდი საფრთხეა, რომელსაც ჩვენ შევხვდებით. რაც შეეხება მომწამლავ ნივთიერებათა გამოყენებას, თვითონ გერმანელ ხალხს ამისი უზომოდ ეშინია, მისი სამხედრო ხელმძღვანელები კი მეტად სკეპტიკურად უყურებენ ამ ნივთიერებათა გამოყენების გზით გამარჯვების მოპოვების შესაძლებლობას“.

კითხვა: „თქვენი აზრით, რას იზამს ჰიტლერი, როდესაც შეიგნებს, რომ დამარცხდა?“

პასუხი: „რეგოლვერს აიღებს და თავს მოიკლავს. რაც შეეხება გერინგსა და გებელს, ისინი შეეცდებიან გაიქცნენ შვეიცარიაში ან რომელიმე სხვა ნეიტრალურ ქვეყანაში, სადაც, მათი აზრით, შესაძლებელი იქნება ტყავი გადაირჩინონ“.

საქონლის მოშენების წლიური გეგმა შესრულებულია

მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებმა 1 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი საქონლის და ღორის სულადობის 1943 წლის სახელმწიფო გეგმა. გეგმით რაიონის კოლმეურნეობებს 1944 წლის 1 იანვრისათვის უნდა ჰყავდეთ 5.540 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, ფაქტიურად ჰყავთ 5.552 სული. ღორი უნდა ჰყავდეთ 250 სული, ჰყავთ—356 სული. აგრეთვე ხორცის სახელმწიფო დამზადების მეორე კვარტალის გეგმა რაიონმა 1 თვისისათვის 100 პროცენტით შეასრულა.

საქ. კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი კაპანაძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მანანია

ჩაის ფოთოლი ვჭრიფოთ დროულად და მაღალხარისხოვნად

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფა კარგად მიმდინარეობს სოფ. ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. მოწინავე კოლმეურნეები: აგრაფინა ცხვიტავა, მარო ნინოა, ლიდა ადამია, ოლღა ცხვიტავა დღიურ ნორმებს 350-400 პროცენტით ასრულებენ. 90 წლის მოხუცი ქალი ედუ გუნია ყოველდღიურად 40-45 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 16 კილოგრამისა.

დროულად და გადამეტებით ასრულებენ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმებს სოფ. ლეძამის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სოფ. ბეთლემის კოლმეურნეობა, სოფ. ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სოფ. ხორშის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობა.

უშფათელი კოლმეურნეები ნაზია კუჭავა და ლიზა ბოღაშვილი ყოველდღიურად 150-180 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფენ, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 22 კილოგრამისა. სოფ. ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ბუჟღუ გაბისონია, ნ. დადიანი, მ. ყურაშვილი და ა. კორშია ყოველდღიურად 60-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფენ, ნაცვლად 16 კილოგრამისა.

კარგად მუშაობენ აგრეთვე სოფ. ლეძამის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველები: ო. რუხაია, ნ. აფხაზავა, ლ. არზიანი, ქ. ძაძამია, თ. ჯოჯუა და სხვ.

ს. კუჭავა

ბრძანება

ქალაქ თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვისა

1943 წ. 15 ივნისი ქ. თბილისი

№ 57

ქალაქში შუქშენიღბვის მდგომარეობის შემოწმების შედეგად გამორკვეულია, რომ ცალკეული ობიექტები და საცხოვრებელი სახლები ზუსტად არ ასრულებენ ქალაქ თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის 1942 წლის 11 დეკემბრის № 134 ბრძანებას.

ქალაქ თბილისში შუქშენიღბვის დაწესებული რეჟიმის ზუსტი და განუხრელი განხორციელების მიზნით

ვბრძანებ:

1. ქალაქის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შუქშენიღბვის სამსახურის უფროსმა ქალაქ თბილისის ქუჩებში დაუწესოს განათება მცირე სიმძლავრის ნათურებით ღრმადგამომსხივებელ არმატურებში.

2. ქუჩების განათება უფლებას არ აძლევს სამრეწველო, სავაჭრო, სანახაობითს საწარმოებს, დაწესებულებებს, სასწავლებლებს, საცხოვრებელ სახლებს და სხვ. ისარგებლონ ნორმალური განათებით კარ-ფანჯრებისა და სხვა ჭრილების საიმედოდ ჩამოუფარებლად.

ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის უფროსი, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

გოგჩაშვილი

3. ტრამვაი, ტროლეიბუსები და ყველა სახის ავტოტრანსპორტი, რომლებიც ნორმალური განათებით სარგებლობენ, საჰაერო განგაშის სიგნალის მიცემისა ან ქუჩის განათების გამორთვისთანავე დაუყოვნებლივ უნდა იქნან გადაყვანილი შუქშენიღბვის რეჟიმზე.

4. ვაფრთხილებ სამრეწველო, სავაჭრო, სანახაობითი საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების ხელმძღვანელებს, სახლთა კომენდანტებსა და მმართველებს, აგრეთვე მთელ მოსახლეობას, რომ ამ ბრძანების დამრღვევნი მიცემულ იქნებიან სასტიკ პასუხისგებაში ომიანობის დროის კანონის მიხედვით.

5. ქალაქის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის წესრიგისა და უშიშროების დაცვის სამსახურის უფროსმა უზრუნველჰყოს ამ ბრძანების განუხრელად შესრულების ზუსტი კონტროლი.

ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის პარტრწმუნებული, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ჩერქეზია

ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსი მაიორი კოტრაძე

თბილისში დაიწყო საკოლმეურნეო ბაზრობა

15 ივნისიდან თბილისის ბაზრებზე დაიწყო საკოლმეურნეო ბაზრობა, რომელიც 1 ივლისამდე გასტანს. დილადაღე ბაზრებზე რაიონებიდან ორგანიზებულად იწყეს მოსვლა კოლმეურნეობებმა. მათ გასაყიდათ ჩამოიტანეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

სტალინის რაიონის დახურულ ბაზარზე თბილისის რაიონის მარტყოფის ლენინის და კიროვის სახელობის კოლმეურნეობებმა ჩამოიტანეს ხორცი, ყველი, რძე და სხვა პროდუქტები. ძროხის ხორცი გაიყიდა კილოგრამი 70 მანეთად, ყველი—60 მანეთად, რძე ლიტრი—10 მანეთად, ქომბოსტო კილოგრამი—4 მანეთად, ალუჩა—7 მან. და სხვ.

ორჯონიკიძის რაიონის ვერის ბაზარზე სოფლანლუღის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ჩამოიტანა 3.000 კილოგრამი ქომბოსტო და კილოგრამი 4 მანეთად გაჰყიდა, 80 კილოგრამი ცხვრის ხორცი (გაჰყიდა კგრ 80 მანეთად), ყველი 30 კილოგრამი (გაჰყიდა 60 მანეთად), წყნეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ ჩამოიტანა 120 კილოგრამი ძროხის ხორცი (გაჰყიდა კილოგრამი 70 მანეთად), 50 კილოგრამი ყველი (გაჰყიდა კილოგრამი 60 მანეთად), დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ჩამოიტანა 300 კილოგრამი ბალი (გაჰყიდა კგრ 10 მანეთად), 150 კილოგრამი ჭარხალი (გაჰყიდა კგრ 3 მანეთად). სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ასეთ ფასებში გაჰყიდეს თბილისის რაიონის სხვა კოლმეურნეობებმაც.

მოლოტოვის რაიონის ბაზარზე აგჭალის ბერიას სახელობის და მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა დიდძალი პროდუქტები გამოიტანეს. მათ ხორცი გაჰყიდეს კილოგრამი 70 მანეთად, ყველი—50 მანეთად, კარაქი—150 მანეთად, კვერცხი—ცალი 3 მანეთად.

დღეს და შემდეგ დღეებში თბილისის ბაზრებზე პროდუქტებს ჩამოზიდავენ თბილისის, კასპის, ბორჩალოს, ადიგენის, მცხეთის, თელავის და წალკის რაიონების კოლმეურნეობები.

ბაზრები საკოლმეურნეო ბაზრობას მომზადებული შეხვდნენ, მაგრამ თბილისის საჰაერო ორგანიზაციებმა ბაზრები ამ დღეს ვერ უზრუნველჰყეს საჭირო სამრეწველო საქონლით. მაგალითად, ორჯონიკიძის რაიონის ვერის ბაზარზე უნივერმაღის მაღაზიამ საქონელი მხოლოდ დღის 4 საათზე მიიღო, მაშინ როცა კოლმეურნეები იმ დროს იქ აღარ იყვნენ.

საჭიროა საქ. სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა და თბილისის საბჭოს სავაჭრო განყოფილებამ მიიღონ ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ლექციები და მოხსენებები

17 ივნისს, ხალამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. 41) ქართულ და რუსულ ენებზე შესდგება საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის (ოქტომბრის შემდგომი პერიოდი) შემსწავლელი პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა.

კინოებში

რუსთაველის სახ. — „ანტონშა რიბკინი“, **ოქტომბერი**—„ლედი ჰამილტონი“, **კომკავშირელი** და **ლუქსემბურგის სახ.**—„ირანი“, **სპარტაკი**—„გამარჯვება უდაბნოში“.

თეატრებში

სახოპერა—16 ივნისს—„რახილი“, 17 ივნისს—„სევილიელი დალაქი“. **რუსთაველის სახელობის**—16 ივნისს—„სამშობლო“. 17 ივნისს—„საპატარძლო აფეშით“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 16 ივნისს—„რაც გინახავს, ეღარ ნახავ“, 17 ივნისს—„პარტიზანები“. **მუსიკალური კომედიის**—16 ივნისს—„არშინ-მალ-ალან“, 17 ივნისს—„ოქროს გასაღები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

რობიტაშვილი, ჟორჟოლიანი, კოპალეიშვილი, მაჩაბლიშვილი, ჯაფარიძე, გველესიანი, გურგენიძე, მაისაძე იუწყებიან
ვ. ნინუაშვილის შვილის
ნ ა თ ე ლ ა ს
გარდაცვალებას. გამოსვ. 17/VI, 5 ს. პლეხანოვის, 82. 1388

ცოლი ნინო, შვილები სიმონ, ესტატე ცოლშვილით, ბაბულია, კატუშა, იოსებ, ვახტანგ, სიძე იუწყებიან
ევგენი ესტატეს-ძე ბათიაშვილის
გარდაცვალებას. 1390

მეუღლე თამარ, შვილები თენგიზ, ცოცალა იუწყებიან
ვახტანგ გიორგის-ძე კოტბიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვ. 16/VI, 7 ს. ბარნოვის, 85-ა. დაკრძ. 17/VI, 6 ს. 1392

მეზობლები მწუხარებით იუწყებიან
ნათელა ვასილის-ასულ ნანუაშვილის
გარდაცვალებას. 1394

რძლები ნადია, თამარ, ძმისწულები მიშა, ზინა რძლით დარიკოთი იუწყებიან
ილიკო მიხეილის-ძე მახაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვ. 16/VI, 7½ ს. ბარნოვის, 17. დაკრძ. 17/VI, 6 ს. 1393

თამარ კალანდაძე და ფაცია კორძახია იუწყებიან
**ავთა (ავთანდილ) თადუმაძის